პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) აცხადებს კონკურსს პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის შერჩევის მიზნით

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 06 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 12 იანვარი.**

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორი“**, წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა - 1;

პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორი თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგინილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ძირითადი მოთხოვნები:

ა.ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

ა.ბ) პროფესიული განათლების სპეციფიკის ცოდნა ან განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

ა.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) ცოდნა და ეფექტური პრეზენტაციის უნარები თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით;

ა.დ) ქართული ენის სრულყოფილად ფლობა -(საუბარი, კითხვა, წერა);

ა.ე) ინგლისური ენის კარგად ფლობა (საუბარი, კითხვა, წერა).

ბ) დამატებითი მოთხოვნები:

ბ.ა) პროფესიული განათლების საკითხებთან დაკავშირებული პროგრამების/ პროექტების მართვის და/ან მათში მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ.) სასაურველია კანდიდატი იცნობდეს პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს.

ბ. დ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება.

პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) პროფესიული დარგობრივი საბჭოების მუშაობის ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებათა უზრუნველყოფა;

ბ) პროფესიული დარგობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზება, განსახილველი დოკუმენტების წინასწარ გასაჯაროების უზრუნველყოფა;

გ) პროფესიული დარგობრივი საბჭოების წევრებთან კომუნიკაცია, მათი მუშაობის აღრიცხვა, დამუშავება და ანალიზი;

დ) პროფესიული დარგობრივი საბჭოების სხდომების ორგანიზება და საოქმო უზრუნველყოფა, საბჭოების გადაწყვეტილებათა შესრულების მონიტორინგი;

ე) პროფესიული დარგობრივი საბჭოების შემადგენლობის შეფასების/შეცვლის/განახლების პროცესის კოორდინაცია;

ვ) პროფესიული დარგობრივი საბჭოების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით საინფორმაციო სემინარის ორგანიზება;

ზ) ფასილიტატორთა ტრენინგების და კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა.

კონკურსის შედეგად პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 1340 ლარის ოდენობით.

პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი ,,პროფესიული განათლების შესახებ";
ბ) ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;
გ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება - პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის, ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;
დ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 17 ივნისის №434 ბრძანება დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ.

პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იცნობდეს დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორებს (ISCO, ISCED).

პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების;
ბ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების;
გ) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის;
დ) გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის;
ე) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.